წერილის ნომერი: **18-01190381192**
თარიღი: **07/02/2019**
პინი: **9431**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2019 წლის 17 იანვრის #60-01190173378 წერილი (AR1650152), რომლითაც ითხოვთ, ქ. თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლება, IIა ზონა, კორპ #3ბ-ს მიმდებარედ (ს.კ.: 01.10.18.006.097) (სზ-6; ტზ-1) შპს „გრინ პარკის“ სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე, IV კლასის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) მე-2 თავის 21-ე მუხლის საფუძველზე და წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის შესაბამისად, ვინაიდან მცენარეები ირგვება იმავე ტერიტორიაზე, არ ირღვევა ადგილზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, შესაძლებლობის ფარგლებში მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ასევე მათი ზომებიდან გამომდინარე გადარგვის შემთხვევაში გახარების ალბათობა არის მაღალი, სამსახური გასცემს 1 ძირი თელას (#55-13სმ), 5 ძირი აკაკის (#131-3,1სმ; #132-4სმ; #133-2,1სმ; #134-16,1სმ; #135-5,1სმ), 1 ძირი გრაკლას (#128-1,8სმ), 2 ძირი იასამნის (#69-3,4სმ; #126-4,5სმ) და 1 ძირი თუთის (#139-18,1სმ) იმავე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვას მას შემდეგ, რაც დაინტერესებული პირი წარმოადგენს, სათანადო წესით გაცემულ მშენებლობის წერილობით ნებართვას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში.

გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით და სამსახურის სპეციალისტის ზედამხედველობით.

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

ნებართვის მიმღები ვალდებულია გადარგვის დაწყების თარიღი და დროის ინტერვალი წერილობით აცნობოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს ზედამხედველობის გაწევის მიზნით (გადარგვის დაწყებამდე - არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე). წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

ნებართვის მიმღებმა გადარგვის შემდეგ, ყოველ კვარტალში ერთხელ, უნდა წარმოადგინოს გადარგული ხე-მცენარის მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტო მასალა.

გადარგული მწვანე ნარგავის 3 წლის ვადაში გახმობის შემთხვევაში, ნებართვის მიმღებს დაეკისრება ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის - საკომპენსაციო რგვის განხორციელების ვალდებულება.

გაცნობებთ, რომ „ქ. თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის“ შესახებ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი“) მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და დადგენილების მე-3 თავის, 26-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვა გაიცემა, თუ ისინი პირდაპირ აფერხებენ მშენებლობას და სამშენებლო ტერიტორიაზე მათი დატოვება შეუძლებელს გახდის მშენებლობის განხორციელებას. ვინაიდან თქვენს სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 25 ძირი ბუჩქი ხელს უშლის მშენებლობის განხორციელებას და ვინაიდან, მათი მოჭრით არ დაირღვევა ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, სამსახური გასცემს 7 ძირი შავჯაგას (#41-1სმ; #42-2სმ; #51-3სმ; #53-1,5სმ; #58-3სმ; #60-2,5სმ; #62-3,1სმ) და 18 ძირი ძეძვის (#43-1,5სმ; #44-1,9სმ; #46-1,5სმ; #47-2სმ; #48-2,6სმ; #49-2,5სმ; #50-2,3სმ; #52-2.5სმ; #54-3,2სმ; #56-2,2სმ; #57-4,7სმ; #59-2სმ; #61-3,2სმ; #121-2სმ; #122-2,6სმ; #123-1,8სმ; #124-1,8სმ; #125-1,8სმ) მოჭრის ნებართვას, მას შემდეგ რაც განმცხადებელი სამსახურში წარმოადგენს მშენებლობის ნებართვასა და ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანისთვის აღდგენითი ღირებულების გადახდის ქვითარს, რომელიც შეადგენს **1 155** (ათას ას ორმოცდათხუთმეტი) ლარს. (საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი-#300773292 ბანკის კოდი-TRESGE22).

აქვე გაცნობებთ, რომ კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და დადგენილების 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას ხელს უშლის 18 (#45, #63, #64, #65, #66, #67, #68, #70, #75, #76, #77, #86, #87, #127, #129, #130, #136, #138) ძირი ხილ-კენკროვანი ხე, რომელთა დიამეტრი არ აღემატება 12სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

შესაბამისად, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი